დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

_სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია

წევრები:

სალომე მურღულია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი.

ეკატერინე ვეკუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ფიქრია მუსერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან მეგრელიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053920

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი კალოთა
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kaloti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595 91 00 85

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 25 0000612749, 03/06/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 10 და 11 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი გასნათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებო პროგრამა;	დაწყებითი	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთა. პირველი ქ. N2 (1 შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო სასფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთა. პირველი ქ. N2 (1 შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთა. პირველი ქ. N2 (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 ივნისის MES 1 25 0000612749 ბრძანების საფუძველზე, ,,**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის** 2010 **წლის** 1 **ოქტომბრის** №99/**ნ ბრძანებით დამტკიცებული** „**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების**“ **მე**-5 **მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების** მიზნით 2025 წლის 10 და 11 ივლისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ -

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთას საჯარო სკოლაში. (მისამართი; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა, პირველის ქ. N 32) ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძნებით N 01/03/85 10.07.2025 წლით დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ექსპერტები სკოლაში ვიზიტისას გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითების საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად ინდივიდუალურ რეჟიმში გაესაუბრა შესაბამისი კათედრის წევრებს და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს. გასცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ასახულია შესაბამისი რჩევების გრაფაში.

ვიზიტი განხორციელდა კომფორტულ სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების ადგილზე წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 50	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა წერილი MES 8 25 0000958383 (06/08/2025) მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის კორექტირებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დასაქმებულთა სამუშაოს აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 31.12.2025 წ.)**
ინდიკატორი N 3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის დამტკიცება.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 31.12.2025 წ.)**

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - 1)საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმება.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 ნ. - 27.08.2026 ნ.)**
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - 1)საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ა. კანონმდებლობით დადგენილი წესით გაწეული სამედიცინო მომსახურების საღრიცხვო ფორმის წარმოების უზრუნველყოფა;** **ბ. სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების უზრუნველყოფა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 ნ. - 27.08.2026 ნ.)**

ინდიკატორი N 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ა. არსებული შენობის მიღება-ჩაბარების აქტის მოპოვება. ბ. რესურს-ოთახის მოწყობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 4.2.3. 1.	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ა) ისგ-ჯგუფის შექმნა. ბ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოების უზრუნველყოფა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**
ინდიკატორი N 4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ა) ისგ-ჯგუფის შექმნა. ბ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოების უზრუნველყოფა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

	საგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**

ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - კურიკულუმის კორექტირება სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. **(27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**

ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03/68 (2025 წლის 24 მარტი) დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, ხოლო ამ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ოქმები თარიღდება 2025 წლის 17 მარტით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი ოქმები შესაბამისობაში მოიყვანონ სკოლის დორექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03/67 დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან.
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლის ვებ-გვერდზე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების აღწერაში და სკოლის მიერ გადმოგზავნილ მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში სხვადასხვა ტექსტი იკითხება. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ჩამოაყალიბოს ერთი ტიპის ნარატივი, რომელიც აისახება ყველა იმ დოკუმენტში, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია/ხედვა, ღირებულებები.
ინდიკატორი N 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სტრაგეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ ეტაპებს შეუსაბამოს აღნიშნული დოკუმენტები.

	და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 18 მარტს ოქმით N 3 და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (ოქმით N 6, 2025 წ. 25 მარტი) - დაგეგმილი აქტივობების შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის პირველი სემესტრი მაშინ, როდესაც დოკუმენტი შეიქმნა და დამტკიცდა 2025 წელს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადები გახადოს რეალური და რელევანტური გამოცემულ დოკუმენტებთან მიმართებაში.
ინდიკატორი 1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	**სკოლას მიეცა რჩევა,** წლიური ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვა ალტერნატიული მექანიზმები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**სკოლას მიეცა რჩევა,** აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი, მოაწესრიგოს ანბანური კატალოგი და ბიბლიოთეკაში განათავსოს ქსელში ჩართული კომპიუტერი, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, სასწავლო პროცესში გამოიყენონ საზიარო სივრცედ.
ინდიკატორი N 3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ ტექნოლოგიებით სარგებლობის, დაიდგას შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსი, რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეეძლებათ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. **სკოლას ასევე მიეცა რჩევა,** რომ განსაზღვროს ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში ციფრულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ადმინისტრაციას აქვს მზაობა და შესაბამისი ტექნიკური რესურსი აღნიშნული აქტივობის

		განსახორციელებლად.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი წესები/დოკუმენტები - რომელიც არეგულირებს მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს სკოლაში. თუმცა დოკუმენტი არ არის დამტკიცებული. **სკოლას მიეცა რჩევა,** დირექტორის ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტი

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;** *XII კლასის ქიმიის კურიკულუმში ასახონ შემოქმედებითი დავალებაც.* საზოგადოებრივი მეცნიერებები; *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური: სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა, მოსწავლეთა ნაცნობი კონტესტების გათვალისწინებით.* *საშუალო საფეხური: პროექტი სამოქალაქო განათლებაში - სასურველია განსახორციელებელი პროექტები დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებების გათვალისწინებით.* უცხოური ენები; *კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც ჩანდეს დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწვალეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ , შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი).სასკოლო სასწავლო გეგმაში ნახსენებია გერმანული ენა, როგორც არჩევით მეორე უცხოურ ენად კლასის გაყოფის მიმართებაში, თუმცა სკოლაში გერმანული ენა არ*

		ისწავლება, ***სასურველია ამ ჩანაწერის ამოღება როგორც სასწავლო სასკოლო გეგმაში ასევე გრიფირებული სახელმ****ძღვანელოების ნუსხაში (7 კლასის სახელმძღვანელოდ მოხსენებულია გერმანული ენა)* სახელმწიფო ენა; *იმისათვის, რომ კურიკულუმში უფრო მეტად წარმოჩინდეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, სასურველია, დავალებების იდეები და აქტივობები იყოს უფრო მრავალფეროვანი, ჩანდეს, რომ მოსწავლეს არჩევანის საშუალებაც აქვს. ასევე, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში იკითხებოდეს იმ პროექტების იდეები, რომლებზეც კათედრამ ინტერვიუს მიმდინარეობისას გაამახვილა ყურადღება.* *სპორტი; სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საბაზო და საშუალო საფეხურზე დაემატოს თემა: მძლეოსნობა, ხოლო კლიმატური პირობების და სკოლის რესურსებიდან გამომდინარე თემა მაგიდის ჩოგბურთი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები;*** *საშუალო საფეხური. მე-12 კლასისთვის ცალ ცალკე გაიწეროს ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმი; მე და საზოგადოების კურიკულუმი - მე-4 კლასი და გეოგრაფიის კურიკულუმში საბაზო და საშუალო საფეხურზე რამდენიმე შუალედურ მიზნად მითითებულია ზეპირი გაზრება. მის ნაცვლადაც მიეთითოს კონკრეტული პროდუქტი, რომლითაც წარმოაჩენს მოსწავლე თავის ცოდნას.* ***სახელმწიფო ენა;*** *რამდენადაც სახელმწიფო ენაში სასწავლო თემა ერთ-ერთი მთავარი და განმსზაღვრელი კომპონენტია, სასურველია, ყველა კლასთან სასწავლო თემები ფორმულირდეს მკაფიოდ - ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური, ციტატა ტექსტიდან(ან დავალების დასახელება), არამედ ის, რის შესახებაც არის ძირითად თუ დამხმარე რესურსად შერჩეული ტექსტები. საგნობრივ სტანდარტში თითოეული საფეხურისთვის მოცემულია როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო თემები. სასურველია, სკოლა სასწავლო თემების ფორმულირებისას დაეყრდნოს ამ დოკუმენტს და არა მხოლოდ*

		სახელმძღვანელოს სარჩევს. ***მათემატიკა;*** *სასურველია, თემა და საკითხთა კლასტერი მოიყვანონ შესაბამისობაში* ***სპორტი;*** *სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრულ თემებს, სასურველია დაემატოს როგორც ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული თემები, ასევე თემა, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“,(თეორია) აგრეთვე საბაზო და საშუალო საფეხურზე დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“ და შეძლებისდაგვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).* უცხოური ენები; სასურველია კურიკულუმშიც იყოს გაწერილი დამატებითი რესურსების მრავალფეროვანი ჩამონათვალი, სხვადასხვა ციფრული რესურსების ბმულები. (მხოლოდ იუთუბ მასალებია კურიკულუმში მოცემული). ასევე კონკრეტული რესურსი მორგებული უნდ იყოს მოსწავლეთა შესაბამის ასაკს და კურუკულუმით გასნაზღვრულ თემას. საზოგადოებრივი მეცნიერებები; *მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინონ კურიკულუმის მოდიფიცირება. ასახონ კურიკულიმში დიფერენცირებული მიდგომების მაგალითები.*
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;** *წარმოედგინათ სხვა კლასებისათვის გაწერილი შეფასების რუბრიკებიც. დაწყებით საფეხურზე, კერძოდ IV კლასში პედაგოგს შემაჯამებელ სამუშაოდ არჩეული აქვს შემოქმედებითი დავალება. რაზედაც მას მიეცათ რჩევა, შემოქმედებითი დავალება შესრულდეს ცალკე, ხოლო თემის შეჯამება მოხდეს სხვა ტიპის დავალებებით, რომლებშიც გააქტიურებული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მათზე მორგებული შესაბამისი დავალებები/კითხვები.*

		საბაზო საფეხურზე, კერძოდ VII კლასის ბიოლოგიაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა აწყობილია ძველი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. **პედაგოგს მიეცა რჩევა** შეფასების რუბრიკა აეწყოს ახალი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. საშუალო საფეხურზე ბიოლოგიაში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, ჩარჩენილი იყო ბიოლოგიის X კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ქვეცნებები XI და XII კლასის შეფასების რუბრიკებში. XII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებებთან ჩარჩენილია XI კლასის ქვეცებები, ხოლო მოლოდინები სწორადაა ჩამოყალიბებული. ასევე, ფიზიკის XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია X კლასის შესაბამისი მოლოდინები, ხოლო თემა არის XI კლასის. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაასწორონ ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. **საბაზო საფეხურზე,** კერძოდ VII კლასის ბიოლოგიაში შეფასების რუბრიკა აეწყოს ახალი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. **საშუალო საფეხურზე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობები.** კერძოდ, ჩარჩენილი ბიოლოგიის X კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ქვეცნებები XI და XII კლასის შეფასების რუბრიკებში. XII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებებთან ჩარჩენილია XI კლასის ქვეცნებები. ასევე, ფიზიკის XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებული X კლასის შესაბამისი მოლოდინები. **უცხო ენები;** სასურველია სასურველი პროექტის გეგმის ნიმუშს თან ახლდეს შეფასების რუბრიკა. (,, ჩემი პროფესიები“). კარგი იქნებდა შეფასების რუბრიკებში ქულათა ჯამი სწორად იყოს გადანაწილებული და მკაფიოდ ჩანდეს რომელ კრიტერიუმს რა შედეგით აფასებს მასწვალებელი. (პრეზენტაციის და კველვის შეფასების რუკბრიკა) **ტექნოლოგიები;** *სასურველია, შემუშავდეს კურიკულუმში სასწავლო საკითხების მიხედვით, გაწერილი შუალედური მიზნის დავალებებზე მორგებული*

		რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები;** *სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი)*
ინდიკატორი N 2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***ესთეტიკური აღზრდა;*** *სასურველია შეფასების კრიტერიუმები მეტად აისახოს კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით შემოქმედებით დავალებებში. ასევე მიზანშეწონილია, სისტემაში გაძლიერდეს ინდივიდუალური პროგრესის დაფიქსირების კომპონენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების სანდოობასა და სამართლიანობას.* ***სახელმწიფო ენა;*** *შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლებმა უნდა გადახედონ დავალებების პირობებს, შინაარსობრივად დახვეწონ ინსტრუქციები, შემდეგ კი, კრიტერუმების ფორმულირებისას, შეინარჩუნონ მკაფიო შინაარსობრივი კავშირი დავალების ზოგად მოთხოვნასა და კონკრეტულად ჩაშლილ კრიტერიუმებს ვურჩევთ სკოლას ამ საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, საკონსულტაციო შეხვედრა) კათედრისთვის.* ***ტექნოლოგიები;*** *სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.*
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***უცხო ენები*** *სასურველია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მკაფიოდ იყოს მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოები. ასევე რესურსების ველში კი დამხამრე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.*

		ტექნოლოგიები *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავების დროს მასწავლებელმა გამოიყენოს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი https://school.emis.ge/*
ინდიკატორი N 2.2.2.3.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *დამხმარე სასწავლო რესურსებად გაზარდონ სახალისო - შემეცნებითი ანიმაციების, თამაშების, მარტივი ექსპერიმენტების და დაკვირვების ხვედრითი წილი. ასევე, მეტად ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველოი საგნების საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განხილული იქნას საგნობრივ კათედრებზე.* ***უცხო ენები*** *სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა* ***სპორტი;*** *სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.*
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*მიზანშეწონილია, სკოლამ გააგრძელოს სერტიფიცირებული და საგნობრივად კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან.*
ინდიკატორი	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან	სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან და გამოიყენონ

N 2.3.2.1.	წყაროებს	მრავალფეროვან კონტექსტზე დამყარებული შეფასების რუბრიკები, რაც შესაძლებლობას მისცემთ, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს სხვადასხვა საჭირო და სანდო ინფორმაცია გაითვალისწინონ.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (MES 0 25 0001046683, 01/09/2025) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტებს (სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა) და სრულად გაიზიარა სკოლის პოზიცია ყველა სტანდარტსა და ინდიკატორთან მიმართებაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი და პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის სექტემბრის N 1 ოქმით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია; ,,უსაფრთხო პოზიტიური, მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია. სადაც სწავლა სასიამოვნო და საინტერესოა წარმატების მისაღწევად". წარმოდგენილი ნარატივის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია - ,,ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, დავეხმარებით ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება - მოვალეობების გაცნობიერებაში. პრიორიტეტად სკოლა ისახავს არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას და დემოკრატიული ღირებულობების ამაღლება." ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (17 მარტი 2025წ.), რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა დირექტორის მ/შ ბრძანებით, (N 01-03/68) სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა სკოლის მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03/68 (2025 წლის 24 მარტი) დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, ხოლო ამ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ოქმები თარიღდება 2025 წლის 17 მარტით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი ოქმები შესაბამისობაში მოიყვანონ სკოლის დორექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03/67 დამკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება".**

2 . სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები აყალიბებს

განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანებით N 01-03/68 დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი ხედვა. სკოლის მისიითა და ხედვით ხაზგასმულია, რომ სკოლაში არსებულ უსაფრთხო სასწავლო გარემოში განხორციელდება სოციალურად და პიროვნულად ჩამოყალიბებული მოქალაქეების აღზრდა, მოსწავლეების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტი; სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1 (**17 მარტი 2025 წელი)** რომელშიც დეკლარირებულია ჯგუფის მიერ შექმნილი ნარატივი - მისია/ხედვა და ღირებულებები. თუმცა სკოლის ვებ-გვერდზე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების აღწერაში და სკოლის მიერ გადმოგზავნილ მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში სხვადასხვა ტექსტი იკითხება. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ჩამოაყალიბოს ერთი ტიპის ნარატივი, რომელიც აისახება ყველა იმ დოკუმენტში, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია/ხედვა, ღირებულებები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ მისია შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N01-03/68 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის პრაქტიკით დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი პროექტი წარუდგინა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლეებს, მშობლებს. გაზიარებისათვის გამოყენებულ იქნა სოციალურ ქსელში არსებულ საკომუნიკაციო დახურული ჯგუფები და სამუშაო შეხვედრები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეხატათ თავიანთი მოსაზრებები მისიის, ხედვისა და ღირებულებების

პროექტთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფმა, უკუკავშირის გათვალისწინებით შეიმუშავა დოკუმენტის საბოლოო სახით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი N 6 (28 მარტი 2025წ.) რომლითაც დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი ტექსტი გააცნო საბჭოს წევრებს. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ოფიციალურ გვერდზე, სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ფეისბუქ გვერდზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N 01-03/68 ბრძანება მისია ხედვა , ღირებულებების გადახედვასა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N 01/03/68
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N-1
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N-3
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N6

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულა სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N 01-03/67 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. იგი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლისთვის სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის აუცილებელი პრინციპები, მეთოდები და პროცედურები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შვიდწლიანი (2024-2031 წლები) სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფის მიერ, შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან 2025 წლის 18 მარტს (პედ-საბჭოს ოქმი N3) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 28 მარტს (სამეურვეო საბჭოს ოქმი N 6). სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულ მიმართულებებს მოჰყვებათ შესაბამისი ამოცანები.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზისას დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ - განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. **ინდიკატორი შეფასდა , როგორც „შეესაბამება“**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ მიერ ბრძანებით (N 01-03/47, 2025 წლის 24 მარტი) დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლაში განსაზღვრული ჯგუფის მიერ, შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან 2025 წლის 28 მარტს (ოქმით N3) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 20 (მარტს ოქმი N 6). წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება გარკვეული შეუსაბამობები დოკუმენტების ქრონოლოგიაში. კერძოდ, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემქნილი და დამტკიცებულია 2025 წლის მარტში, ხოლო თავად დოკუმენტში განსაზღვრულია 2024 წლის განსახორციელებელი აქტივობები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სტრაგეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ ეტაპებს შეუსაბამოს აღნიშნული დოკუმენტები. სამოქმედო გეგმა გაწერილია ხუთი ძირითადი მიმართულებით: სასწავლო პროცესისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 18 მარტს ოქმით N 3 და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (ოქმით N 6, 2025 წ. 25 მარტი) - დაგეგმილი აქტივობების შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის პირველი სემესტრი მაშინ, როდესაც დოკუმენტი შეიქმნა და დამტკიცდა 2025 წელს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადები გახადოს რეალური და რელევანტური გამოცემულ დოკუმენტებთან მიმართებაში. წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობის შესაბამისად, მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი

ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N 01-03/67 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა; 2024-2031
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 3

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. .სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევა,** წლიური ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვა ალტერნატიული მექანიზმები. ვინაიდან წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვა დაგეგმვის ეტაპიდან იწყება, დაგეგმვის ეტაპზევე ხდება გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმებისა და ორიენტირების გამოკვეთა. სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების

მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლას მიეცა რჩევა, მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 24 მარტის N 01-03/67 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის მ/შ ბრძანება N 01-03/47 სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ
- სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა; 2024-2031
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 3

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი. საგნის მასწავლებლები; არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან: სკოლის ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებს ითავსებს დირექტორის მ/შ ბრძანებით განსაზღვრული პირი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 31.12.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები
- ბიბლიოოთეკის დებულება
- საქმისმწარმოებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი“ , (ბრძანება N 01-03/44, 2025 წლის 24 მარტი) რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, შინაგანაწესის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი (MES 4 25 0000516785), თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დირექტორის მ/შ მიერ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს**

წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 31.12.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის“ პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 01-03/44, 2025 წლის 24 მარტი) რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას აქვს დირექტორის მ/შ მიერ ბრძანებით დამტკიცებული ,,პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“ (N 01-03/61, 24 მარტი, 2025 წელი) რაც სკოლას საშუალებას აძლევს ობიექტურად და გამჭვირვალობის წესის თანახმად მოხდეს კადრის შერჩევა. ეს წესები დადასტურებულია შესაბამისი ბრძანებით. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, სკოლა თანამშრომელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არის ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლას აქვს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი 2025 წლის 24 მარტის N01-03/61 ბრძანებით შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დამლაგებლის, დარაჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის შესაბამისადაც სკოლა ახალი კადრების შერჩევისას არის ობიექტური და გამჭვირვალე. **სკოლაში დასაქმებულია ოთხი პედაგოგი,** რომელსაც არა აქვს მინიჭებული სტატუსი. (მათემატიკა, ხელოვნება და მუსიკა) სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსზე არ გამოცხადდნენ სტატუსის მქონე პირები. ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, იმდენად რამდენადაც სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. პირადი საქმეების და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულებები დადებულია კანონთან შესაბამისობაში და გაფორმებულია დროებით - ვაკანსიის გამოცხადებამდე. თუმცა დასტურდება, რომ პედაგოგებს აქვთ 9 საათზე მეტი დატვირთვა. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში სკოლას შესაბამისი წესით გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია აღნიშნულ პოზიციებზე. ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ვაკანსიები იყო აქტიური, განაცხადის შეტანის ვადები არ იყო დასრულებული. სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი - ვნახოთ და მოვთხოვოთ

ოქმები ნა რამე დამადასტურებელი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების წევრები მუშაობენ გუნდურად, თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებს და საჭიროებებს. საჭიროების განსაზღვრა ხდება არსებული რეალობისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. უკუკავშირი აგებულია აზრთა გაზიარებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებაზე. მხარდაჭერაზე. სკოლაში მომუშავე ყველა პერსონალი საკუთარ თავს აღიქვამს ამ ორგანიზაციის ნაწილად, ამიტომ გადაწყვეტილებები მონაწილეობით ფორმას ატარებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ მიღწეულ წარმატებებს. მის აღიარებას, გასაჯაროებასა და წახალისებას. ხშირად აღნიშნული საჯაროვდება სკოლის სოციალურ ფეისბუქ გვერდზე. წარმატებული მუშაობის შემთხვევაში სასწავლო წლის დასასრულს ხდება თანამშრომლებზე (დამსახურების შესაბამისად) მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის დამტკიცების დებულება
- სკოლასა და თანამშრომელს შორის დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს გეგმიური საგაკვეთილო დაკვირვება, ურთიერთდასწრება. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიტერვიუს დროს განმარტავს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი იყო შეფასების ჯგუფები, რომლებიც აფასებდნენ მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობას. მესამე თაობის ე.ს.გ.-ის დანერგვის პროცესში გრძელდება გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის მიზანია პედაგოგთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თუმცა სკოლა გეგმავს, რომ აღნიშნული ამ მიმართულებით უნდა დატრენინგდეს, რათა მასწავლებლებმა შეიძინონ უფრო მეტი უნარები მიზნის მისაღწევად. უკუკავშირის საფუძველზე უკეთესად გამოიკვეთოს მასწავლებელთა საჭიროებები. მათ მიერ პროფესიული განვითარების კონკრეტული გეგმის შეთავაზების მიზნით. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის, რომელიც არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება

შემდეგ საკვანძო პრინციპებს: (ა) პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი - კერძოდ სკოლის მიერ დადგენილ მექანიზმში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესი და პროფესიული განვითარება არის არა „დანიშნულების ადგილი“, რომელსაც ოდესღაც უნდა მივაღწიოთ, არამედ მუდმივი „მოგზაურობა“, ახალი პერსპექტივები, ხედვები და რეფლექსიები. შესაბამისად პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი კეთდება სწავლისა და გაგების პროცესსა და მხარდაჭერაზე, ნაცვლად შეფასებითი დამოკიდებულებისა. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმის თანახმად, შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა - უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განმარტავს, რომ ხელს უწყობს დასაქმებულების სწრაფ ადაპტაციასა და კოლექტივში ინტეგრაციას. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

პერსონალთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველიდოკუმენტი, (დირექტორის 2025 წელი 24 მარტის 01-03/66 ბრძანება), რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს კანონდმებლობით დადგენილ წესს და ორიენტირებულია შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემურ შეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე. ხარისხზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოადგილე. ხარისხის უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია პროცესული მიდგომა: რისკების შეფასება, სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. დოკუმენტი ასევე არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N 01-03/87) **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია: 1.მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა,

წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; 2. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 3. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, საქმისწარმოება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის მიერ წარმოდგენილია შინაგანაწესი, რომლის 22-ე მუხლი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01/03/50) აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- განცხადების/საჩივრის განხილვის დოკუმენტი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი
- სკოლის ვებ-გვერდი
- საინფორმაციო დაფა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს, სკოლის შენობის სივრცეებს, სადაც გამოკრულია შესაბამისი ინფორმაცია. სკოლა ასევე იყენებს საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი), როემლიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ბრძანებით გამოყოფილია ვებ.გვერდის ფუნქციურ გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი. (ბრძანება N 01-03/86) სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში არსებობს მართვის კოლეგიალური ორგანოები როგორიცაა: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს აქვს სრული თავისუფლება, განახორციელოს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობა. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. (ბრძანება N 01,04/3 24.01.2024 წ.) სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. (ოთხი ვიდეო/სამეთვალყურეო კამერა) სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. **სკოლას ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**. შესაბამისად <u>**მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით.**</u> სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N02-198 21.09.2016) განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა № 465 (ბრძანება N 43, 30.05.202519.07.2023 წ), აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) **დროს გამოვლენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის სკოლას მიცემული აქვს შესაბამისი ვადა. სკოლის დირექციის განმარტებით, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა მოხდება მიწერილობით დადგენილ ვადებში.** ,,შრომის

უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. **სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასვკნა.** სკოლას აქვს მიწერილობა (MES 5 25 0000582422, 28.05.2025) სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მომზადების მიზნით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)
ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება"

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა (MES 4 25 0000516785, 14.05.2025) რომლის მიხედვითაც სკოლამ გაუფორმა შესაბამისი ხელშეკრულება ექთანს. **სკოლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ნაწარმოები სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების საღრიცხვო ფორმა, ასევე არ არის ნაწარმოები სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება"

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დარაჯები. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ ს მიერ ბრძანებით (N 01-03/88) დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03/57) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. დირექტორის მ/შ მიერ ბრძანებით არის გამოყოფილი საქმისმწარმოებელი, რომელიც მესამე პირის წვდომისგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. იგი უფლებამოსილია, გააფრთხილოს ყველა დაინტერესებული პირი იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. საქმისმწარმოებელი უფლებამოსილია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელებისათვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03-57) რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები

გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვის შესახებ;
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვების ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა და შესაბამისი მიწის ფართობი საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882021474730 - 14.06.2021 წელი) რომლის მიხედვით სკოლის მისამართია; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კალოთა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 23.10.33.008. მიწის დაზუსტებული ფართობია; 1293.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი შენობა (საქვაბე.) 2022 წელს დასრულდა კალოთის საჯარო სკოლის მშენებლობა. 2022 წლიდან სწავლა მიმდინარეობს ახალ სასწავლო კორპუსში. **სკოლამ ვერ წარმოადგინა არსებული შენობის მიღება-ჩაბარების აქტი.** სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა ერთსართულიანია. შენობაში განლაგებულია 8 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამედიცინო კაბინეტი, დირექციისა და ადმინისტრაციის კაბინეტები, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი მინი-სტადიონი. მისი შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია და გათვლილია შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადითა და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ერთი ოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, (3 ერთეული). კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში არის იყო ანბანური და თემატური კატალოგები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შესაბამისი წესით

დაამუშავოს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, დამტკიცებული - დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03-46, 24.03.2025 წ. სკოლამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი (სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03-53. 08/04/2025 წ.)

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

კალოთის საჯარო საჯარო სკოლა ერთსართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, ხუთი სველი წერტილი (გოგნებისა და ვაჟებისათვის. ერთი ადაპტირებული სველი წერტილი). ადმინისტრაციის კაბინეტები (დირექტორი, ბუღალტერი, საქმეთა მმართველი) პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული სივრცე. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი. ღონისძიებების გამართვის მიზნით სკოლა იყენებს სპორტულ სივრცეს. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადებით და სასკოლო დაფით. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნდი ფონდისგან, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ბიბლიოთაკასა და სპორტულ დარბაზში იმართება ღონისძიებები, კლუბური მუშაობა სხვადასხვა სახის შეხვედრები. სასკოლო გარემო ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული, უსაფრთხო და აკადემიური სივრცე. ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული რესურსები: ბიბლიოთეკა. **სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი წარმოდგენილია, როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებით. სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა სივრცეები, როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის შესაბამისი ინვენტარითა და წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკაში ინახება ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში არ არის შემუშავებული სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული უნდა იყოს

სკოლის წიგნადი ფონდი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს დასმული აქვს სკოლის ბეჭედი შესაბამისი წესით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შექმნილია მყუდრო გარემო, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიებაც და გაცნობაც. სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები. ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული კომპიუტერი. გამომდინარე იქედან, რომ სკოლას აქვს საჭირო ტექნიკური რესურსი, **მიეცა რჩევა, აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი, მოაწესრიგოს ანბანური კატალოგი და ბიბლიოთეკაში განათავსოს ქსელში ჩართული კომპიუტერი, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, სასწავლო პროცესში გამოიყენონ საზიარო სივრცედ. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის მთელი ინფრასტრუქტურა ემსახურება სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. სპორტული აქტივობებისათვის სკოლა იყენებს შიდა სპორტულ დარბაზსა და გარე სპორტული მოედანს. სასკოლო აქტივობები და ღონისძიებები ტარდება შენობის მინი სპორტულ დარბაზში. სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. აღნიშნული სივრცეები ნაწილობრივ პასუხობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებებს. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ სპორტულ დარბაზსა და ბიბლიოთეკაში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. **სკოლის შენობაში არ არის გათვალისწინებული რესურს-ოთახი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, სასკოლო ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლას გახდეს სოფელში ერთ-რთ სოციო-კულტურულ სივრცე. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მათ შეუძლიათ ეს რესურსები სასწავლო მიზნით გამოიყენონ არასაგაკვეთილო დროსაც. ამისთვის სკოლა უქმნის მათ ყოველგვარ პირობას და უპირობო მხარდაჭერა აქვთ მასწავლებლების მხრიდანაც.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სრულად არ არის აღჭურვილი ტექნოლოგიურად. გამართულად ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას ბალანსზე ირიცხება 6 ერთეული სტაციონარული კომპიუტერი 1 ერთეული პრინტერი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. გაკვეთილებზე და საზიარო სივრცეებში - კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევთ. სკოლას აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსფორმაციის ხედვა, (ბრძანება N 01,03-91 რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლის ინცორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას მიეცა რჩევა, რომ განაახლოს კომპიუტერული ტექნიკა და იზრუნოს პროექტორის და სხვა ტექნიკური საშუალებების შეძენაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არსებული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა (კომპიუტერები, პრინტერი) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. კომპიუტერული კლასი უზრუნველყოფილია ტექნიკითა და მუდმივი ინტერნეტით, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისთვის. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს, რათა სასკოლო საზოგადოებამ მიზნობრივად გამოიყენოს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრსტრუქტურული გამართულობის უზრინველყოფის პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია და ისტ. მასწავლებელი. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლა აღჭუვილია ცენტრალური Wi-Fi სისტემით (თანამედროვე როუტერ ფაერვოლით). სკოლას აქვს შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი. – (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03/89), რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადეობისათვის ციფრული ტექნოლოგიების სასკოლო დროს გამოყენებისა და სარგებლობის დრო/ შესაბამისი წესი, რაც გაზრდის მოსწავლეების სწავლა-სწავლების ხარისხს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა გამოყოფს საზიარო სივრცეებს არა მხოლოდ ტექნოლოგიების ლაბორატორიაში, არამედ ბიბლიოთეკაშიც. თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული ციფრული ტექნოლოგიები მოსწავლეებისათვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ ტექნოლოგიებით სარგებლობის, დაიდგას შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსი, რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეეძლებათ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. **სკოლას ასევე მიეცა რჩევა,** რომ განსაზღვროს ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში ციფრულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ადმინისტრაციას აქვს მზაობა და შესაბამისი ტექნიკური რესურსი აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით.

ნომენკლატურა, რის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმისწარმოება. შიდა დოკუმენტები ელექტრონულის გარდა ამობეჭდილი და შესაბამისი რიგითა და ნომერაციით ინახება. (ბრძანებები ძირითად საქმიანობაზე, მოსწავლეთა მობილობაზე, დანიშვნა-გათავისუფლებაზე, დასჯა-წახალისებაზე. ასევე შრომითი ხელშეკრულებები, პედაგოგიური საბჭოსა და ისგ ჯგუფის ოქმები და ა.შ.) . სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული საქმისწარმოების წესი (დირექტორის მ/შ 01,03/59) აღნიშნული ბრძანების თანახმად სკოლაში განისაზღვრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან). სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლა სარგებლობს rs.ge, spa.ge და signature.ge. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები,

მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა სხვადასხვა საშუალებებით აწვდის ინფორმაციას რესურსცენტრს, სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სხვა ოფიციალურ უწყებებს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow.emis.ge საშუალებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, უკუკავშირი დროულია და ეფუძნება ინფორმაციის მიწოდებისთვის განსაზღვრულ ვადებს. სკოლის დირექციის, საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა აქვს აღწერილი/დარეგულირებული შიდა აქტებით, შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა** საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.**ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემები;

- ზოგადი გნათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის გვერდი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   დირექციის განმარტებით, სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით (facebook, teams). ასევე პირისპირ შეხვედრების, სატელეფონო კომუნიკაციითა და სასკოლო ღონისძიებების დროს. სასკოლო საქმიანობის შესახებ ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლებისა და სამეურვეო საბჭოს საშუალებით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, (ბრძანება N 01,03/90 რომელიც განსაზღვრავს ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და ინფორმაციის გაცემის წესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სოციალურ ქსელში განათავსებს ინფორმაციას დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, გამართოს და აამუშაოს სკოლის ვებ-გვერდი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, რომელზეც ატვირთულია შესაბამისი მასალები. სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დომენით. **ინდიკატორი შეფასდა , როგორც „შეესაბამება“.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პორტალი;
- სკოლის Facebook გვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024-25 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შედის ცვლილებები. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსური კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის მ/შ დირექტორის 2025 წლის 24 მარტის 01-03/50 ბრძანებით. სკოლას მოსწავლეთა

უფლებების დაცვის საკითხები წარმოდგენილი აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შინაგანაწესი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელიც არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების, უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობის დაცვით გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექციის წარმომადგენლები და კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებების და წესების გაცნობ ყველა მოსწავლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას აქვს სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებული დირექტორის 2025წლის 24 მარტი 01-03/60 ბრძანებით. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დასაცავად შემუშავებულია სასკოლო რეგულაციები: დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესს და აღნიშნულს ასახავენ სადამრიგებლო გეგმებში. ხშირ შემთხვევაში წესები გამოკრულია კლასებში თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს განიხილება ამ წესების ეფექტიანობა. ვფიქრობთ მოსწავლეთა მონაწილეობით შემუშავებული სასკოლო რეგულაციები უფრო მეტად გაზრდის მათ პასუხისმგებლობას და გაუჩენს გუნდურობის გრძნობას. გარდა შიდა რეგულაციებისა სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ბავშვის, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ცენტრში მყოფი პირის და მის წინაშე დისციპლინიური დევნის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ქმედებები. ის რომ მოსწავლის მიმართ წარმოებული დისციპლინური დევნა უნდა იყოს ჯეროვანი, სამართლიანი და უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის კანონიერ ინტერესებს. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მასში გაწერილია, როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი,

სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი აქვს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. სკოლას ამ ეტაპზე მშობლებთან აქვთ გაფორმებული: 1) ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის, რომელშიც გაწერილა მხარეთა უფლებები და მოვალეობები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხელშეკრულების პირობების, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შემუშავება მოხდა მშობელთა ჩართულობით, მასში გათვალისწინებულია სკოლის მიზნები, ღირებულებები. 2) ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე 3) ასევე ფოტოსა და ვიდეოს სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სახელმძღვანელოების ან ბუკების გადაცემასთან დაკავშირებულ

ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები რეგულირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია. მშობლებთან მათი შვილის აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. დოკუმენტები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03/54) აღნიშნული

მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ჩარიცხვისა და მობილობის წესები განსაზღვრულია და პროცედურა იწყება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ შემოტანილი განცხადებით, რის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება და დასტურდება eschool - ის ელექტრონულ ბაზაში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას ვიზიტის პროცესში არ ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა მიმდინარეობს სასკოლო კლუბებისა და სასკოლო პროექტების მიმართულებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის 01-03/50 ბრძანებით. სკოლას აქვს სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებული დირექტორის 2025წლის 24 მარტი 01-03/60 ბრძანებით. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01,03-57) აღნიშნული დოკუმენტების მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობის დაცვით გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექციის წარმომადგენლები და კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის

დაწყებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებების და წესების გაცნობ ყველა მოსწავლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შემდეგ სამართლებრივ აქტებს: ა)„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი , ბ)„მოსწავლის ქცევის კოდექსი“(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N79/ნ ბრძანება. გ) სკოლის შინაგანაწესი. მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. ბავშვის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი განათლება და არ შეეზღუდოს თვითგამოხატვის უფლება. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. მოსწავლის უფლებები დაცულია, მოსწავლის მშობელთან იდება „სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრერულება“, ასევე მოსწავლის ფოტო სურათის გასაჯაროების დროსაც მხოლოდ მშობლის წერილობითი და სიტყვიერი თანხმობით ხდება ფოტო სურათების საჯარო სივრცეში განთავსება. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოში - სამეურვეო საბჭოში. თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები, იგეგმება საქველმოქმედო, შემეცნებითი, გარემოს დაცვითი, შემოქმედებითი აქტივობები, რეგულარულად ხდება შეხვედრები სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ჯგუფებთან და იქ გამოთქმული წინადადებები, ინიციატივები თუ მოთხოვნები წარედგინება დირექციას. საგნის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, აქტივობებს, ღონისძიებებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი წესები/დოკუმენტები - რომელიც არეგულირებს მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს სკოლაში. თუმცა დოკუმენტი არ არის დამტკიცებული. **სკოლას მიეცა რჩევა,** დირექტორის ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული დოკუმენტი. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - დირექოტრის მ/შ ბრძანება N 01,03/55. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება N 01,03/55.) სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს ,

პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შემუშავება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების საშუალებით მოსწავლეებს აქვთ ღია კარის დღეები. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოჩენის დროს მასწავლებელს კათედრაზე შეაქვს საკითხი სასწავლო მეთოდების გასაუმჯობესებლად. გამოიყენება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაციები. დამრიგებელი ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მშობელს. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით მოსწავლეებთან ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას გაკვეთილების დასრულების შემდეგ. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მოტივაციის ასამაღლებლად სკოლა ახორციელებს საკლასო და სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ - მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვ. დამრიგებლების პორტფოლიოების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების,

შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. აღსანიშნავია მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელდა . მე-10 კლასში სკოლამ განახორციელა პროექტი არაფორმალური განათლების მოიმართულებით. სკოლამ მოიწვია ისეთი მასწავლებლები, რომლებიც მარტო ცხოვრობდნენ, ჩაატარებინეს გაკვეთილები პენსიაში გასულ მასწავლებლებს. მოსწავლეებმა პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩაატარეს ინტერვიუები და რა სურვილების ჰქონდათ, განახორციელებისნე სკოლაში; ,,ტყე შეუნახე შვილებსა. „ გასვლითი გაკვეთილები ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანზიციის გეგმა
- თვითმმართველობის ოქმები
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლის დამრიგებლებით ინტერვიუებით დგინდება, რომ მე-9 და მე10 კლასების მოსწავლეები იყვნენ ხულოში პროფესიულ კოლეჯ ,,ტალღაში“, სადაც მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიებთან დაკავშირებით. სკოლას მიეცა რჩევა, რომ გააფორმოს მემორანდუმი ხულოში არსებულ პროფესიულ კოლეჯებთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა (მაგ. ადგილობრივი კოლეგების ან/და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, სასკოლო თემის ინტერესების იდენტიფიცირება, მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული საუნივერსიტეტო პროგრამების მოძიება, სტატისტიკური მონაცემებით

გამყარებული დასაქმების ბაზრის კვლევა). მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაფორმებული მემორანდუმი
- პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები
- სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლა უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეთა ადაპტირებული გარემოთი პანდუსით და ადაპტირებული საპირფარეშოთი. სკოლას აქვს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლას ჰყავს ასისტენტი, **თუმცა არ არის სრულად გათვალისწინებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა; სკოლამ ვერ წარმოადგინა ისგ-ჯგუფის შექმნის ბრძანება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება“

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. (დირექტორის მ/შ ბრძანება N 01-03/63) თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ისგ - ჯგუფის შექმნის ბრძანება. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.) ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
2. სკოლა ამ ეტაპზე რაიმე სახის დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება.**
3. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე რაიმე სახის დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება.**

4. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.**ინდიკატორი ვერ ფასდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებო სერვისების მიწოდების რეგულაციის დებულება
- სკოლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი განათლების საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო განათლების საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო განათლების საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილაა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების/ინტერესების გათვალისწინებას. ასევე, თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების, ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლა და კურიკულუმში შესაბამისად ასახვა. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის თანამშომლობითი კულტურა, რაც გულისხმობს იმას, რომ რომ მასწავლებლები საფეხურის ფარგლებში/კათედრებად მსჯელობენ და აანალიზებენ მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილებას და განსახორციელებელ ცვლილებებს,ასევე ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად გაითვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები. მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების დასადგენად გამოიყენეს სხვადასხვა მეთოდი, თუმცა თვლიან თვლიან, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების უფრო მეტად გათვალისწინება სამომავლოდ შესაძლებელი იქნება მონიტორინგითა და პერიოდული შეფასებით, სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

პედაგოგები კურიკულუმებს შეიმუშავებენ კათედრებზე, ურთიერთთანამშრომლობის გზით. კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესებს(აქტივობების რეფლექსიით, ერთობლივ შეხვედრებზე მოსწავლეთა მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა-ანალიზით და სხვ. გზით); მათი თქმით, ამ ეტაპზე მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესი უფრო აქტიურად მიმდინარეობს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები სასკოლო საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, მაგ. მოსწავლეებთან - დღიურის წარმოება, ხოლო მასწავლებლები პროცესზე დაკვირვებით აღწერენ და კოლეგებს გაუზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების/საჭიროებების შესახებ უფრო აქტიურად. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები. მათი აზრით, ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს, როგორც სასკოლო საზოგადების ინტერესების ასახვას სასკოლო კურიკულუმში, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მიღწევას.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმები და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რათა წევრებს უფრო მეტი მიკუთვნებულობის განცდა ქონდეთ, როგორც აღნიშნავენ, სასკოლო კურიკულუმი იყოს „ ყველას პროდუქტი“ და სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. გეგმავენ ინფორმირების, უკუკავშირისა და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებას. ამისათვის შექმნილია ჯგუფები,რომელთა ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა. სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. მშობლები ინფორმირებულნი არიან სოციალური ქსელის და საინფორმაციო დაფის საშუალებით ან პირისპირ შეხვედრების დროს აცნობენ თითოეულ საგანში დაგეგმილ აქტივობებს. უხსმიან მათ საჭიროებასა და სპეციფიკას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ინტერვიუები პედაგოგებთან
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (ბუნებისმეტყველებ/ბიოლოგია/ქიმია/ფიზიკა) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. თუმცა აღსანისნავია, რომ **დაწყებითი საფეხურის** III **და IV კლასის კურიკულუმებში საკითხთა ჩამონათვალი და კონტექსტ - მაგალითები შეუსაბამოდ არის შეტანილი. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითის გრაფაში შეტანილია საკითხები, ხოლო საკითხთა გრაფაში - დავალების იდეა. საშუალი საფეხურზე სკოლას არ წარმოუდგენია XI კლასის ქიმიის კურიკულუმი** (ამ ეტაპტე სკოლას არ ჰყავდა XI კლასი და შესაძლოა ამიტომ არ წარმოადგინეს შესაბამისი კურიკულუმი). XII კლასის ქიმიის კურიკულუმში არ არის ასახული შემოქმედებითი დავალება. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:** *მიუხედავ იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს XI კლასი წარმოადგინონ XI კლასის ქიმიის კურიკულუმი. ასევე, XII კლასის ქიმიის კურიკულუმში ასახონ შემოქმედებითი დავალებაც.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია კურიკულუმში ასახული სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები. **რჩევა:** *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:* *სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა, მოსწავლეთა ნაცნობი კონტესტების გათვალისწინებით.* *საშუალო საფეხური: პროექტი სამოქალაქო განათლებაში - სასურველია განსახორციელებელი პროექტები დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებების*

	გათვალისწინებით.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე მხოლოდ ორიენტრებულია მოსწვლეთა შდეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის, დაგეგმავასა და განვითარების გზას. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. **რჩევა:** *მასწავლებლება ამის შესახებ ისაუბრეს , თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც ჩანდეს დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწვალეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ , შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი).* სასურველია ასევე კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. *სასკოლო სასწავლო გეგმაში ნახსენებია გერმანული ენა, როგორც არჩევით მეორე უცხოურ ენად კლასის გაყოფის მიმართებაში, თუმცა სკოლაში გერმანული ენა არ ისწვალება ,* ***სასურველია ამ ჩანაწერის ამოღება როგორც სასწავლო სასკოლო გეგმაში ასევე გრიფირებული სახელმ****ძღვანელოების*

	ნუსხაში (7 კლასის სახელმძღვანელოდ მოხსენებულია გერმანული ენა)
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები(სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში) ზოგადად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. ისინი ითვალისწინებენ შემოქმედებითი და აქტიური სწავლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, ასევე ისეთი სასწავლო აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესების, უნარების და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. კურიკულუმებში იკვეთება შემოქმედებითი პროცესის წახალისება, თანამშრომლობითი სწავლის ელემენტები და თემატური მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 ნ. - 08.09.2025 ნ.)**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია შემოქმედებითი ტიპის რამდენიმე დავალება, რაც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე ზრუნვასა და სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვის მცდელობაზე მეტყველებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები - მოხმობილია ისეთი კონტექსტებიც, რომლებზე მსჯელობაც მოსწავლეს პირადი გამოცდილების საფუძველზეც შეუძლია. გასაუბრებაზე დაყრდნობით, კათედრა აცნობიერებს, რომ კურიკულუმი არ მოიცავს მხოლოდ საგნობრივი საკითხების სწავლებას და აუცილებელია მოსწავლეთა ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვაც. ისაუბრეს განხორციელებულ სასწავლო და სოციალურ პროექტებზე, გულწრფელად აღნიშნეს, რომ უჭირთ ამ გამოცდილების დოკუმენტურად წარმოდგენა. **შეესაბამება.** ***რჩევა:*** *იმისათვის, რომ კურიკულუმში უფრო მეტად წარმოჩინდეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, სასურველია, დავალებების იდეები და აქტივობები იყოს უფრო*

	მრავალფეროვანი, ჩანდეს, რომ მოსწავლეს არჩევანის საშუალებაც აქვს. ასევე, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში იკითხებოდეს იმ პროექტების იდეები, რომლებზეც კათედრამ ინტერვიუს მიმდინარეობისას გაამახვილა ყურადღება.
მათემატიკა	მათემატიკაში შემუშავებული კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. წარმოდგენილი რესურსები იძლევა საშუალებას პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **რჩევა:** *სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საგაზო და საშუალო საფეხურზე დაემატოს თემა: მძლეოსნობა, ხოლო კლიმატური პირობების და სკოლის რესურსებიდან გამომდინარე თემა მაგიდის ჩოგბურთი.*
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შუალედური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და

	შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სააგნობრივი კურიკულუმები ძირითადად სტრუქტურირებული ფორმითაა და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითრების გზას. შუალედურ სასწავლო მიზნებად მითითებულია სხვა და სხვა ფორმატის შემოქმედებითი დავალებები, რაც იძლევა სიღრმისეული სწავლისა და ფუნქციური უნარების განვითარების შესაძლებლობას. **რჩევა:** უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია კიდევ ერთხელ გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტები. დაზუსტდეს სასწავლო ერთეულის (ცნება/ ქვეცნება, თემა, საკითხი, დავალების იდეა/პირობა(ეს იქნება კომპლექსური დავალება თუ სხვა შემოქმედებითი პროდუქტი, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები...) შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებისკენ. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების შედეგები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა:** *საშუალო საფეხური. მე-12 კლასისთვის ცალ ცალკე გაიწეროს ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმი; მე და საზოგადოების კურიკულუმი - მე-4 კლასი და გეოგრაფიის კურიკულუმში საბაზო და საშუალო საფეხურზე რამდენიმე შუალედურ მიზნად მითითებულია*

	ზეპირი გააზრება. მის ნაცვლადაც მიეთითოს კონკრეტული პროდუქტი, რომლითაც წარმოაჩენს მოსწავლე თავის ცოდნას. *ისტორია 8 კლასის კურიკულუმი, თემა „ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეები“ - პირველი შუალედური მიზანი დასაზუსტებელია. არ ჩანს რა პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. სასურველია დაკონკრეტება.*
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას. მაგალითად, მოსწავლეების მიერ მომზადებული ინგლისურ და რუსულ ენაზე პოსტერები სხვადასხვა თემატიკაზე, ილუსტრიებული ტექსტები, რომელთა შესახებ ისაუბრეს პედაგოგებმა. .
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. სამიზნე ცნებები, შედეგები და თემები თანმიმდევრულად არის გათვალისწინებული და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის სტრუქტურულ დაგეგმვას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ეროვნულ გეგმის მოთხოვნებთან. I, II, III, V და VI კლასების კურიკულუმებში არ არის გაწერილი ქვეცნებები, ხოლო წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, რეალურად, საკლასო ტიპის აქტივობებია და არ ასახავს შემაჯამებელი შინაარსის დავალებების არსს. მსგავსი ვითარება ფიქსირდება VII, VIII და IX კლასების კურიკულუმებშიც. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმი მოიცავს ძირითად სტრუქტურულ კომპონენტებს: სასწავლო თემას, სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, რესურსებს. თვალსაჩინოა შინაარსობრივი კავშირი წარმოდგენილ კომპონენტებს შორის. რაც შეეხება ე.წ გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას, ეს წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისკვნას, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **შეესაბამება.** ***რჩევა:*** *რამდენადაც სახელმწიფო ენაში სასწავლო თემა ერთ-ერთი მთავარი და განმსზღვრელი კომპონენტია, სასურველია, ყველა კლასთან სასწავლო თემები ფორმულირდეს მკაფიოდ - ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური, ციტატა ტექსტიდან(ან დავალების დასახელება), არამედ ის, რის შესახებაც არის ძირითად თუ დამხმარე რესურსად შერჩეული ტექსტები. საგნობრივ სტანდარტში თითოეული საფეხურისთვის მოცემულია როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო თემები. სასურველია, სკოლა სასწავლო თემების ფორმულირებისას დაეყრდნოს ამ დოკუმენტს და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს სარჩევს.*
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. შუალედური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ორიგინალური დავალებები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს. **რჩევა:** *სასურველია, თემა და საკითხთა კლასტერი მოიყვანონ შესაბამისობაში*
სპორტი	კურიკულუმის ჩარჩოში არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები, სამიზნე ცნება/ცნებები, განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც განაპირობებს

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე გასვლას. **რჩევა:** *სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრულ თემებს, სასურველია დაემატოს როგორც ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული თემები, ასევე თემა, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“,(თეორია) აგრეთვე საბაზო და საშუალო საფეხურზე დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“ და შეძლებისდაგვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ). ყოველივე ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, კურიკულუმებში თემების საათობრივი ჯამი და საგნის წლიური საათების რაოდენობა თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან.*
ტექნოლოგიები	II-VI კლასის ჩათვლით კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა შუალედური მიზნის დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, შუალედური მიზანი, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, იძლევა მოსწავლის სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და თითოეულ საგანში სწავლის შედეგების/კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო დაწესებულებაში არის მზა მატერიალური რესურსების ერთგვარი დეფიციტი. სკოლას არ აქვს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია. პედაგოგები ძირითადად იყენებენ საკუთარ ან მოსწავლეთა მიერ შექმნილ პრეზენტაციებს, ონლაინ-რესურსებს, ქიმიასა და ფიზიკაში ტარდება მარტივი ცდები, რომელთა განხორციელებაც არაა დაკავშირებული უსაფრთხოების სპეციალური ზომების დაცვასა და სპეციფიურ ინსტრუმენტულ მოთხოვნებთან. საგნობრივ კურიკულუმებში

	შერჩეულია ისეთი ონლაინ-რესურსები, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. ამას ადასტურებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი დავალებებიც. **დაწყებითი საფეხურის I და II კლასებში არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები და კურიკულუმში მითითებული სახელმძღვანელოები აცდენილია. კერძოდ, I კლასის კურიკულუმში მითითებულია შემდეგი სახელმძღვანელო: „ბუნება“ I კლასი, ავტორები-: ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, ხათუნა ფანთია, გამომცემლობა - ,,ტრიასი“ , ხოლო სკოლას არჩეული აქვს „ბუნებისმეტყველება“ I კლასი, ავტორები - ირმა ავალიანი, ნათელა** ბაღათრიშვილი, გამომცემლობა - „ინტელექტი“. ანალოგიურად არის მდგომარეობა II კლასში. კერძოდ, II კლასის კურიკულუმში მითითებულია შემდეგი სახელმძღვანელო: „ბუნება“ II კლასი, ავტორები-: ხათუნა გოგალაძე, მარინა ჯალიაშვილი, ხათუნა ფანთია, გამომცემლობა - ,,ტრიასი“, ხოლო სკოლას არჩეული აქვს „ბუნება“ II კლასი, ავტორები - მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი, შორენა ტყემალაძე, თეონა შუბლაძე, გამომცემლობა - „ბაკურ სულაკაური“. **საბაზო საფეხერზე,** კერძოდ, VII კლასში ბიოლოგიაში სკოლას არჩეული აქვს სახელმძღვანელოდ, ბიოლოგია VII კლასი ავტორები - რუსუდან ახვლედიანი, ნატო შათირიშვილი, მზია სულამანიძე, გამომცემლობა - „ბაკურ სულაკაური“, ხოლო კურიკულუმი აწყობილია მარინე სეხნიაშვილის VII კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოს მიხედვით. საბაზო საფეხურის ფიზიკის VII კლასის კურიკულუმში ზოგიერთი რესურსი წარმოდგენილია ვორდის დოკუმენტის სურათის სახით, ხოლო ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმში ზოგიერთი ბმული არ იხსნება. იგივე პრობლემაა საშუალო საფეხურის ფიზიკის კურიკულუმებში. კერძოდ, XI კლასის კურიკულუმში არ იხსნება შემჭიდროვებული მისამართით წარმოდგენილი (bit.ly) ბმულები. **პედაგოგს მიეცა რჩევა** - *შეამოწმოს კურიკულუმში ასახული ბმულები რამდენად მუშა მდგომარეობაშია, ხოლო ვორდ დოკუმენტის სახით შეტანილი რესურსები დაილინკოს.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. ინტერნეტ-პლატფორმები.
უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლისა და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა

	რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იყენებენ დრო და დრო ციფრულ რესურსს. კურიკულუმში ასახული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას , სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც იყოს გაწერილი დამატებითი რესურსების მრავალფეროვანი ჩამონათვალი, სხვადასხვა ციფრული რესურსების ბმულები. (მხოლოდ იუთუბ მასალებია კურიკულუმში მოცემული). ასევე კონკრეტული რესურსი მორგებული უნდ იყოს მოსწავლეთა შესაბამის ასაკს და კურუკულუმით გასნაზღვრულ თემას. ზოგიერთ კურიკულუმი მითითებული სახელმძღვანელო არ ემთხვევა სკოლის მიერ დამტკიცებული გირფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს: **ინგლისური ენა 9 კლასი:** გირფირებული სახელმძრვანელოების ნუსხაში მითითებულია სახელმძრვანელო English 9 (სულაკაურის გამომცემლობა) კურიკულუმი კი გაწერილია სახელმძრნელო New billding bridges ის მიხედვით. **რუსული ენა:** 7 კლასის რუსული ენის კურიკულუმი აგებულია სახელმძღვანელო ავტორით ბარსეგოვა, გირფირებული სახელმძრვანელოების ნუსხაში მითითებულია სახელმძრვანელო ,, რუსული ენა“ გამომცემლობა ,, კლიო“. 9 კლასი - გირფირებული სახელმძრვანელოების ნუსხაში მითითებულია სახელმძრვანელო ,, კლასი“ სულაკაურის გამომცემლობა, კურიკულუმი კი აგებულია სახელმძღვანელო ბარსეგოვას ავტორობით. 10 კლასი გირფირებული სახელმძრვანელოების ნუსხაში მითითებულია სახელმძრვანელო , კლასი“ სულაკაურის გამომცემლობით, კურიკულუმი კი აგებულია სახელმძღვანელო ბარსეგოვას ავტორობით. 12 კლასი გირფირებული სახელმძრვანელოების ნუსხაში მითითებულია სახელმძრვანელო ავტორით ჩიმაკაძე, გამომცემლობა არტანუჯი. კურიკულუმში კი არ არის მითითებული რა სახელმძღვანელოზეა აგებული კურიკულუმი..
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმებში სრულად არის გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსები. წარმოდგენილია როგორც

	ძირითადი, ისე დამატებითი რესურსები, რომლებიც თემატურად უკავშირდება სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს. გამოყენებულია ვიზუალური, ხმოვანი, ციფრული და პრაქტიკული რესურსების ფართო სპექტრი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სწავლის პროცესის მრავალფეროვნებას და მოსწავლეთა ჩართულობას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი რესურსები და სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, V, VI კლასებისთვის წარმოდგენილია გამომცემლობა ,,სწავლანის" გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი კურიკულუმი, ხოლო სკოლას არჩეული აქვს სხვა გამომცემლობის სახელმძღვანელო. ამავე ტიპის ხარვეზია VII და X კლასების შემთხვევაშიც. ბუნებრივია, სკოლას შეუძლია, დამატებით რესურსად გამოიყენოს მისთვის სასურველი სხვა სახელმძღვანელოც, **მაგრამ კურიკულუმი უნდა წარმოადგინოს არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ხოლო დამატებითი რესურსი მიუთითოს რესურსების ველში**. **<u>ამდენად, სკოლის მიერ დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის ნაწილი არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.</u>** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 ნ. - 08.09.2025 ნ.)**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები(გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები, ელექტრონული ბმულები). მათი შესაბამისად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები, საკმარისია მოსწავლის მიერ კურიკულუმით ასახული თემებში სწავლის შედეგების მისაღწევად.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, განსაკუთრებით კი ციფრული რესურსების აქტიური ინტეგრაცია, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. ისინი ხელს უწყობენ როგორც დეკლარაციული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის დაუფლებას, ასევე კრიტიკული აზროვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებას. **რჩევა:** *სასურველია, შემდგომში კურიკულუმებზე მუშაობისას კიდევ უფრო მკაფიოდ (კონკრეტული ბმულის, სახელმძღვანელოს გვერდების, დამხმარე სასწავლო რესურსის მითითებით) დაზუსტდეს გათვაისწინებული რესურსების კავშირი საკითხებთან, თემებთან, დავალებებთან და კონკრეტულ სასწავლო შედეგებთან.*

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სწავლების ამოცანები და შინაარსი. სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ამიტომ ბუნებრივად და ორგანულად ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება და ინდივიდუალური მიდგომები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ავღნიშნავ, რომ სკოლას ჰყავს შშმ მოსწავლე, რომელსაც ბევრ საგანში არ ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კერძოდ, საბუნებისმეტყველო საგნებში ასეთი გეგმები წარმოდგენილი არ ყოფილა. პედაგოგებთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს, რომ მათი მოსწავლეებიდან არცერთი არ საჭიროებდა ინდ. გეგმის შედგენას, მაგრამ გამოთქვეს მზაობა, რომ იმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მოთხოვნისა და საჭიროებისამებრ.
საზოგადოებრივი	კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა

მეცნიერებები	და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა:** *მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინონ კურიკულუმის მოდიფიცირება. ასახონ კურიკულიმში დიფერენცირებული მიდგომების მაგალითები.*
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდგეგმის ნიმუშიც, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს,. პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **რჩევა:** *ინგლისურ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუშში სასურველია ცნებებისა და მიზნების ასახვა, აქტივობებისა და რესურსების გაწერა, ასევე საჭიროა ჩანდეს მოსწავლეთა შედეგების აღწერის მონიტორინგი.*
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში არ არის გაწერილი დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლების ელემენტები. დოკუმენტში არ ჩანს კონკრეტული მეთოდური მიდგომები, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთ კლასში სწავლობს სსსმ მოსწავლე, რომელსაც მხოლოდ გადაადგილების სირთულე აქვს და ამ ეტაპზე არ საჭიროებს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ ადაპტაციას. **რჩევა:** *მიუხედავად იმისა, რომ არსებულ შემთხვევაში დამატებითი ადაპტაცია საჭირო არ არის, მიზანშეწონილია კურიკულუმში ზოგად დონეზე მაინც აისახოს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. ეს გაზრდის დოკუმენტის შესაბამისობას ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს წინასწარ მზაობას სხვა საჭიროებების შემთხვევაში.*
სახელმწიფო ენა	სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლისთვისაც არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტულ მოსწავლეს აქვს ფიზიკური შეზღუდვა, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები კი შეესაბამება ტიპური განვითარების მოსწავლის უნარებს, სწორედ ამ მიზეზით არ წარმოადგინეს

	ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ვინაიდან არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მოსწავლე საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნული დოკუმენტაცია. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუმცა არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, ჰყავთ შშმ მოსწავლე, რომელიც არ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მაგრამ პედაგოგებს აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ კომპლექსური ტიპის დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს.
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებული და მოტორული უნარ-ჩვევები გათვლილი აქტივობები. **რჩევა:** *სკოლის მიერ წარმოდგენილ მოსწავლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ი.ნ.დ. გეგმაში სასურველია ნათლად ჩანდეს მოსწავლის ფიზიკურ უნარების განვითარებაზე გათვლილი აქტივობები, რომელის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქება მოსწავლის გაყვანა ი.ნ.დ. გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე.*
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. **რჩევა**:*სასურველია, ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.*

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწვლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლის სწავლის სტილის, მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავენ აქტივობებს. თუმცა ეს ნაკლებად ჩანს დოკუმენტალურად. სრულყოფილი სახით არ არის წარმოდგენილი ისგ გეგმა. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვთ სამივე საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივობებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე, იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ/გამოიყენებენ სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისა და განვითარებისთვის. პერიოდულად ტარდება სადიაგნოსტიკო სამუშაოები, რათა მოხდეს მოსწავლის პროგრესის იდენტიფიცირება და შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვა. დაწყებით საფეხურზე ნიმუშის სახით წარმოდგენილი იყო მხოლოდ IV კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ხოლო VI კლასში მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. **რჩევა:** *წარმოედგინათ სხვა კლასებისათვის გაწერილი შეფასების რუბრიკებიც. დაწყებით საფეხურზე, კერძოდ IV კლასში პედაგოგს შემაჯამებელ სამუშაოდ არჩეული აქვს შემოქმედებითი დავალება. რაზედაც მას მიეცათ რჩევა, შემოქმედებითი დავალება შესრულდეს ცალკე, ხოლო თემის შეჯამება მოხდეს სხვა ტიპის დავალებებით, რომლებშიც გააქტიურებული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მათზე მორგებული შესაბამისი დავალებები/კითხვები.* *საბაზო საფეხურზე, კერძოდ VII კლასის ბიოლოგიაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა აწყობილია ძველი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით.*

	პედაგოგს მიეცა რჩევა შეფასების რუბრიკა აეწყოს ახალი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. საშუალო საფეხურზე ბიოლოგიაში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, ჩარჩენილი იყო ბიოლოგიის X კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ქვეცნებები XI და XII კლასის შეფასების რუბრიკებში. XII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებებთან ჩარჩენილია XI კლასის ქვეცებები, ხოლო მოლოდინები სწორადაა ჩამოყალიბებული. ასევე, ფიზიკის XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია X კლასის შესაბამისი მოლოდინები, ხოლო თემა არის XI კლასის. პედაგოგებს მიეცათ რჩევა გაასწორონ ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. **რჩევები:** წარმოადგინონ **დაწყებითის საფეხურის** I-IV კლასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ვინაიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ IV კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ასევე, წარმოადგინონ V კლასის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და VI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. რადგან წარმოდგენილი იყო მხოლოდ VI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა; დაწყებით საფეხურზე შემოქმედებითი დავალება შესრულდეს ცალკე, ხოლო თემის შეჯამება მოხდეს სხვა ტიპის დავალებებით, რომლებშიც გააქტიურებული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მათზე მორგებული შესაბამისი დავალებები/კითხვები; **საბაზო საფეხურზე,** კერძოდ VII კლასის ბიოლოგიაში შეფასების რუბრიკა აეწყოს ახალი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. **საშუალო საფეხურზე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობები.** კერძოდ, ჩარჩენილი ბიოლოგიის X კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ქვეცნებები XI და XII კლასის შეფასების რუბრიკებში. XII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებებთან ჩარჩენილია XI კლასის ქვეცნებები. ასევე, ფიზიკის XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებული X კლასის შესაბამისი მოლოდინები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	*საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები.* ***ჩვენი საქართველო,*** *დაწყებითი საფეხური - არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი (მე-5 კლ. და მე-6 კლ.) და განმსაზღვრელი (მე-6 კლ.) შეფასების რუბრიკები.* ***ისტორია,*** *საბაზო და საშუალო საფეხური - წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ მიემართება ისტორიის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი*

	სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და სავალდებულო თემის ფარგლებში მოსწავლის შედეგების მიღწევების ინდიკატორებს. ***გეოგრაფია, მოქალაქეობა,*** *საბაზო და საშუალო საფეხური - წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს საგნობრივი, საფეხურეობრივი მიზნები, თუმცა არის ძალიან ზოგადი და არ ჩანს შეფასების მიზანები და ამოცანები.*
უცხოური ენები	გასაუბრება , კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბმისად, . მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ

	შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. **რჩევა:** სასურველია სასურველი პროექტის გეგმის ნიმუშს თან ახლდეს შეფასების რუბრიკა. (,, ჩემი პროფესიები“). კარგი იქნებდა შეფასების რუბრიკებში ქულათა ჯამი სწორად იყოს გადანაწილებული და მკაფიოდ ჩანდეს რომელ კრიტერიუმს რა შედეგით აფასებს მასწვალებელი. (პრეზენტაციის და კველვის შეფასების რუკბრიკა)
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად პრინციპებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას. გამოყენებულია ტესტური და განმავითარებელი შეფასების ფორმები. შეფასების პროცესი უპირატესად ორიენტირებულია მიღწევებზე და სწავლის პროგრესის აღრიცხვაზე. თუმცა შეფასების კომპონენტებს ზოგ შემთხვევაში აკლია კონკრეტულ დავალებებთან მკაფიო კავშირი და რუბრიკების სიზუსტე. მიუხედავად ამისა, არსებული სისტემა ქმნის საფუძველს სამართლიანი და სანდო შეფასებისთვის და არ ითვლება დასახარვეზებლად.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. რუბრიკები ეყრდნობა საფეხურის სამიზნე ცნებებს. მიუხედავად იმისა, რომ დავალებების კრიტერიუმების ფორმულირებაში მცირე შინაარსობრივი ხარვეზები შესამჩნევია, მთლიანობაში კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან თვალსაჩინოა. ამასთან, გასაუბრებისას წარმოჩინდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ, გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიები(თვითშეფასება, ურთიერთშეფასება...). **შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა, შეაჯამებელი დავალების ანალიზი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მათ შორის: სოლო ტაქსონომია, მოსწავლეთა თვითშეფასება,

	ურთიერთშეფასება და ა.შ.
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგი აქტიურად იყენებს საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რამდენიმე კლასისთვის. **რჩევა:** *სასურველია, შემუშავდეს კურიკულუმში სასწავლო საკითხების მიხედვით, გაწერილი შუალედური მიზნის დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უკავშირდება სამიზნე ცნებებს, უნარებსა და სასწავლო შედეგებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ სწავლის შედეგების მიღწევა იზომება კონკრეტული აქტივობების მეშვეობით და აჩვენებს განვითარების დინამიკას. **რჩევა:** *სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უწყვეტი მართვის მიზნით სასურველია მომზადდეს სასწავლო შედეგზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება. შეფასებისას ყოველთვის იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თუ ინდივიდუალური თავისებურებები, მზაობა და შესაძლებლობები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი დავალებების/არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო დისციპლინების შესწავლის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებულია კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. **რჩევა:** *სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი)* *კათედრის წევრებმა ურთიერთთანამშრომლობით განახორციელონ კურიკულუმის განხორციელების შედეგების ანალიზი და მასზე დაფუძნებით შეიტანონ კურიკულუმში ცვლილებები. ანალიზი განახორციელონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.*
უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური, რუსული,) სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგეების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია

	გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას. როგორც უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროესის სწორ დაგეგმვას. და აქ განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ- ს შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის მიხედვით და შეესაბამება სკოლაში არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი შეუსაბამობა სასკოლო კურიკულუმებსა და ფაქტობრივად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს შორის. I და II კლასებში სკოლის მიერ არჩეულია გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელმძღვანელოები, თუმცა კურიკულუმში ასახულია გამომცემლობა ,,კლიოს“ მასალა . III კლასში წარმოდგენილია გამომცემლობა „მერიდიანის“ მიხედვით შედგენილი კურიკულუმი, რომელშიც ფიქსირდება ისეთი ხარვეზები, როგორიცაა ქვეცნებების არქონა და საკლასო აქტივობების პოზიციონირება როგორც შემოქმედებითი დავალებებისა. IV, V და VI კლასების კურიკულუმებში არჩეული სახელმძღვანელოები დოკუმენტში საერთოდ არ არის მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარირებულია გამომცემლობა „მერიდიანის“ კურიკულუმების გამოყენება, ფაქტობრივად წარმოდგენილი ტექსტები ეფუძნება „კლიოს“ სახელმძღვანელოს სტრუქტურას და შინაარსს. VII და VIII კლასებში სკოლას შერჩეული აქვს გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელმძღვანელოები, თუმცა კურიკულუმები კვლავ ეფუძნება „კლიოს“ მიხედვით შედგენილ მასალას. IX კლასში კურიკულუმში წარმოდგენილი ტექსტი არ შეესაბამება არჩეულ სახელმძღვანელოს („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“), არამედ ისევ ეფუძნება „კლიოს“ მასალას. X და XI კლასებში, პროექტული სწავლების ფარგლებში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რის გამოც სწავლის პროცესის დაგეგმვა ამ კლასებისთვის სრულად ვერ ხორციელდება.

	სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმები არ შეესაბამება სკოლაში არჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. I და II კლასებში კურიკულუმში არ არის ასახული არჩეული „დიოგენეს“ სახელმძღვანელოები. III–IX კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად ეფუძნება „კლიოს“ მასალას, მაშინ როცა სკოლის მიერ არჩეულია სხვა გამომცემლობების სახელმძღვანელოები („მერიდიანი“, „დიოგენე“, „ბაკურ სულაკაური“). გარდა ამისა, კურიკულუმებში რესურსად მითითებულია ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლას რეალურად არ აქვს არჩეული და არ გამოიყენება სწავლების პროცესში. *X და XI კლასებისთვის კურიკულუმები საერთოდ არ არის წარმოდგენილი.* **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 ნ. - 08.09.2025 ნ.)**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე, ასევე დამატებით, კლასგარეშე რესურსებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია რამდენიმე ისეთი დავალება, რომელიც მოითხოვს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. ირკვევა, რომ მასწავლებლებს აქვთ ამ ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება. განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები და საჭირო რესურსები.
მათემატიკა	ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს პროცესი წარმართეს წარმოდგენილი კურიკულების შესაბამისად, დაინახეს ის გამოწვევები და ხარვეზები, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას და მოდიფიცირებას, შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები.
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმში ასახულ თემებთან, სამიზნე ცნებებთან და საკითხებთან.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიურებისას მასწავლებელებმა ისაუბრეს იმ განხორციელებულ აქტივობებზე, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმით. აქვთ მზაობა მომავალში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად კიდევ უფრო სრულყონ სწავლა-სწავლების პროცესი.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას ვადგენთ რომ მუშაობის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებები დროულად მიეწოდება სკოლის დირექციას რეაგირებისათვის. ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, ცვლიან საუკეთესო პრაქტიკას.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციდან იკვეთება, რომ სამივე საფეხურზე საგნების მიხედვით (ბუნებისმეტყველება/ბიოლოგია/ქიმია/ფიზიკა) შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდარტის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით თემის საკითხის ფარგლებში. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტული დავალების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. თუმცა საზოგადოებრივი მეციერებების საგნებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, გარდა მე და საზოგადოების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა ვერ უზრუნველყოფს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების შესაძლებლობას. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 08.09.2025 წ.)**

უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში , რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი. სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, ასევე ამის დამადასტურებელია პედაგოგების მიერ განხილული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა, ქულათა სისტემა და სიტყვიერი კომენტარები.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ტიპის შეფასება. მოსწავლეთა შედეგების ფიქსირება ხდება რეგულარულად და პროცესი გამჭვირვალეა. შეფასება მიზნობრივად მიმართულია შედეგებზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებად იკვეთება ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინება და კონკრეტულ დავალებებთან მჭიდრო კავშირი. **რჩევა:** *სასურველია შეფასების კრიტერიუმები მეტად აისახოს კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით შემოქმედებით დავალებებში. ასევე მიზანშეწონილია, სისტემაში გაძლიერდეს ინდივიდუალური პროგრესის დაფიქსირების კომპონენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების სანდოობასა და სამართლიანობას.*
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დაისკვნას, რომ კათედრა აცნობიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სამართლიანობის მნიშვნელობას - ჩანს, თუ რომელ საკითხში რა კრიტერიუმებით ფასდებიან მოსწავლეები, რა მოეთხოვებათ თემის ფარგლებში. მასწავლებლის თქმით, დავალების შესრულებამდე მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ პირობას, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ დავალების მოთხოვნებს. ეს, ერთი მხრივ, ასაბუთებს, რომ პედაგოგებისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლისთვის გასაგები იყოს

	დავალება, მეორე მხრივ, იკვეთება, რომ წერილობითი კრიტერიუმები უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი ლექსიკით. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში კრიტერიუმები შინაარსობრივ დახვეწასა და მეტ კონკრეტულობას საჭიროებს, დავალების არსი და ძირითადი მოთხოვნები გასაგებია. ***რჩევა:*** *შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლებმა უნდა გადახედონ დავალებების პირობებს, შინაარსობრივად დახვეწონ ინსტრუქციები, შემდეგ კი, კრიტერუმების ფორმულირებისას, შეინარჩუნონ მკაფიო შინაარსობრივი კავშირი დავალების ზოგად მოთხოვნასა და კონკრეტულად ჩაშლილ კრიტერიუმებს ვურჩევთ სკოლას ამ საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, საკონსულტაციო შეხვედრა) კათედრისთვის.*
მათემატიკა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კათედრის წევრების მიერ, დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე , მოსწავლეებისთვის ცნობილია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ.
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ფესტივალებზე მათი შედეგები.
ტექნოლოგიები	შეფასების პროცესი ხორციელდება ორი ტიპის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლის მიერ შემუშავებულია შუალედური მიზნის დავალებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა:** *სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.*

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია (დიაგნოსტიკური წერის ანგარიში,წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები), ასევე გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია, თუ როგორ აძლევენ თითოეულ მოსწავლეს განმავითარებელ უკუკავშირს გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება დაკვირვებად ფაქტებსა და მტკიცებულებებზე. ასევე მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან ის, თუ რა უნდა შეფასდეს, აძლევენ მკაფიო ინსტრუქციას შესარულებელ დავალებებზე და ქმნიან თანაბარ გარემოს შეფასების პროცესისათვის. **რჩევა:** *მოსწავლეთა შეფასებას ჰქონდეს არა ეპიზოდური არამედ სისტემური ხასიათი. სასწავლო პროცესი დინამიური გახადონ მრავალფეროვანი განმავითრებელი სტრატეგიებით. შეფასების სისტემის სტანდარტიზებისა და სრულყოფისათვის სასურველია მასწავლებლებმა გაიარონ შესაბამისი მომზადების კურსი/ტრენინგი.*

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ინტერვიუებითაც დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრის სხდომებზე ხშირად მსჯელობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. ვერიფიკაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსწავლის მიღწევის ანალიზს და ხელს შეუწყობს იმის დადგენას, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. იმისათვის რომ შეფასების სისტემა უფრო მეტად ასრულებდეს მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს, კათედრამ მეიმუშავა ვერიფიკაციის შეფასების ფორმა და მომავალი სასწავლო წელისთვის გეგმავს გაუმჯობესებას მიმდინარე სასწავლო წლის შედეგის გათვალისწინებით.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს, მოსწავლეთა პირადი საქმეები შენახულია და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.
მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები ინახება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით უფლებამოსილი პირის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საკლასო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, ვიზუალური მასალა, ანიმაციები და ონლაინ-სიმულაციები,), რაც მოსწავლეთა შედეგებზე აისახება. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არქონა

	ერთგვარად ზღუდავს საბუნებისმეტყველო საგნების სიღრმისეულ სწავლებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სკოლას აქვს შესაძლებლობა გამოიყენონ დამატებითი ელექტრონული რესურსები. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები.
უცხოური ენები	პედაგოგები იყენებენ ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად დამხმარე რესურსებს, იყენებენ ინტერნეტს, საგანთა შორის კავშირების / **რჩევა:** *სასურველია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მკაფიოდ იყოს მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოები. ასევე რესურსების ველში კი დამხამრე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.*
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსებით. კურიკულუმში მითითებული სახელმძღვანელოები შეესაბამება სკოლაში გამოყენებულ მასალებს, ასევე გამოიყენება აუდიო-ვიზუალური, ციფრული და დამატებითი რესურსები, რაც სწავლების პროცესს მრავალფეროვნებას ანიჭებს. ხარვეზი: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ფიქსირდება შეუსაბამობა კურიკულუმში მითითებულ რესურსებსა და სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს შორის. I–IX კლასებში კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც არ შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ გრიფირებულ რესურსებს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსი იძლევა საშუალებას, მიიღწეს დასახული მიზნები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი სწავლების პარალელურად შეივსება, შეიცვლება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და განვითარდება.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრო რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ თვალსაჩინოებებს, საპრეზენტაციო მასალებს.

სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს საკმარისი კომპიუტერული ტექნიკა, არ აქვთ პროექტორი, მაგრამ სკოლა მზაობას აცხადებს აღნიშნული პრობლემის რაც შეიძლება მოკლე ვადებში მოგვარებაზე. სკოლაში არსებული ტექნიკა (კომპიუტერები, პრინტერები) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. კომპიუტერული კლასი უზრუნველყოფილია ტექნიკითა და მუდმივი ინტერნეტით. **რჩევა:** *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავების დროს მასწავლებელმა გამოიყენოს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი https://school.emis.ge/*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიურებისას პედაგოგები საუბრობდნენ სასწავლო პროცესში კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენებაზე, თუმცა რიგ შემთხვევაში საგნობრივ კურიკულუმში მითითებული ძირითადი სახელმძღვანელო არ არის შესაბამისობაში სკოლის მიერ შერჩეულ გრიფირებულ სახელმღვანელოებთან. კერძოდ: 1-ლ და მე-2 კლასებში შეუსაბამოა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები; მე-4 კლასში - ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს. დაწყებით საფეხურზე, კერძოდ I და II კლასში უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოებია მითითებული. **რჩევა :** *დამხმარე სასწავლო რესურსებად გაზარდონ სახალისო - შემეცნებითი ანიმაციების, თამაშების, მარტივი ექსპერიმენტების და დაკვირვების ხვედრითი წილი. ასევე, მეტად ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველოი საგნების საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან.*

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები შეესაბამება საგნობრივ საკითხებს და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. **რჩევა:** *კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განხილული იქნას საგნობრივ კათედრებზე.*
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, ამას ადასტურებს ასევე კათედრის სხდომის ოქმში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძრვანელოების ვალიდურობის შესახებ ინფორმაცია. **რჩევა:** *სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა*
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით, შინაარსობრივი შესაბამისობის და ასაკობრივი მისადაგების პრინციპით. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ შერჩეული და მოწმობილი რესურსები, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზნობრიობას სასწავლო პროცესში
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებისთვის შერჩეული დამხმარე რესურსები შესწავლილია კათედრის წევრების მიერ, მათი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა კვალიფიციური წყაროდან: საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, პროფესიული ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას.
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსები სპორტული ინვენტარის, ვალიდაცია უზრუველყოფილია.
ტექნოლოგიები	როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული, ინტერვიუზეც დადასტურდა, რომ სკოლა მცირე კონტიგენტიანია, სკოლის ბიუჯეტით ვერ ხერხდება ყველა მატერიალური რესურსის შეძენა.

	კომპიუტერული ლაბორატორია და მოსწავლეთა ბუკები აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები სასწავლო შედეგებზე გასასვლელად სახელმძღვანელოებთან ერთად, იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებსა და ელექტრონულ რესურსებს. თუმცა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის დადგენის წესის შემუშავებით კიდევ უფრო სისტემატიზირდება რესურსების ბაზა კურიულუმებთან კაშირში.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. სკოლას არ აქვს ლაბორატორია. რის გამოც, ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (27.08.2025 წ. - 27.08.2026 წ.)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საკლასო ოთახებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები გამოყენებულია რესურსებად.

უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფიია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრულია ადგილების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების განაწილება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მაგალითად, ყველა მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს კომპიუტერული კაბინეტით სასწავლო მიზნების განსახორციელებლად. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. სკოლაშია წახალისებულია არაფორმალური ღონისძიებები.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს კათედრებს მოსწავლეების საჭიროებაზე მორგებული მატერიალური რესურსებით, ითვალისწინებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.
სპორტი	სკოლაში სპორტის გაკვეთილებისათვის გამოყოფილი სივრცე და გარე მოედანი , სპორტული ინვენტარი, საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად. **რჩევა:** *სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.*
ტექნოლოგიები	როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული, ინტერვიუზეც დადასტურდა, რომ სკოლა მცირე კონტიგენტიანია, სკოლის ბიუჯეტით ვერ ხერხდება ყველა მატერიალური რესურსის შეძენა. კომპიუტერული ლაბორატორია და მოსწავლეთა ბუკები აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა რაოდენობის

	გათვალისწინებით

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომლებსაც დადასტურებული აქვთ შესაბამისი საგნის ფლობის კომპეტენცია. აღნიშნული დასტურდება სკოლის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაციითა მასწავლებელთა პირადი საქმეებით. ასევე ყავს უსტატუსო პედაგოგები. სკოლაში სულ 8 პედაგოგია, კერძოდ შემდეგი საგნის სპეციალისტები: დაწყებითი, ინგლისურის, ქართული ენა ლიტერატურის,რუსული ენის,ქიმია ,ბიოლოოგიის,გეოგრაფიის. სკოლას ყავს 1 სსსმ მოსწავლე, მულტიდისციპლინარული დასკვნის თანახმად ესაჭიროება სპეციალური მასწავლებელი და ინდივიდუალური ასისტენტი. მოსწავლეს ყავს მხოლოდ ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით. ცალკეულ საგნებს ამ ეტაპზე სხვა საგნების პედაგოგები ატარებენ. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია და მუშაობს შესაბამისი კადრების მოძიებაზე.

რჩევა: *მიზანშეწონილია, სკოლამ გააგრძელოს სერტიფიცირებული და საგნობრივად კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025 ს.წ.)
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- რესურსების ჩამონათვალი
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე განხილვას და ინიშნავენ ძლიერ და განსავითარებელ მხარეებს, თუმცა დაგეგმილი გვაქვს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის ფარგლებში მომავალი სასწავლო წლიდან პროცესების დოკუმენტური და ციკლური სახით წარმოება, იმის გათვალისწინებით, რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმების შესაბამისად (მონიტორინგი) და რამდენად იძლევა სასურველ ეფექტს (შეფასება). პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლებისგან ინტენსიური თანამშრომლობით შეაგროვებენ მონიტორინგისა და შეფასების მასალებს.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება პროცესის ანალიზს და შედეგებს(მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეებს, აკეთებენ ჩანიშვნებს და ცდილობენ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების პროცესში, აქტიურად თანამშრომლობენ კათედრებზე კოლეგებთან) , თუმცა დაგეგმილია შეფასების ისეთ ფორმაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. ზოგადად შეფასება რომ იყოს პრობლემის გადაჭრის გზა ვიდრე აქამდე იყო. ამ მიზნებისათვის შეიქმნა მინიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელებს მონიტორინგს განსაზღვრული ინსტრუმენტების საშუალებით. ანალიზის შედეგებს წარმოადგენს მეთოდოლოგიის ჯგუფის წინაშე და დაიგეგმება მოდიფიცირების პროცესი ან აქტივობები.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით. სკოლის დირექცია რეგულარულად ესწრება გაკვეთილებზე მასწავლებლებს. განიხილება გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეები. კეთდება გარკვეული ჩანაწერები და გამოიყენება უკუკავშირი შემდგომი გაუმჯობესებისთვის, თუმცა ამ პროცესის გასაძლიერებლად პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული ინტერვენციების გათვალისწინებით ვგეგმავთ შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც სასკოლო საზოგადოების მიერ იქნება გაზიარებული და ექნება სისტემური ხასიათი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მეტწილად ჰოლისტურია და პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან, თუმცა ამ სისტემის განვითარებისა და სრულყოფისთვის სკოლას დაგეგმილინ აქვს კომპლექსური ღონისძიებები. თვლიან, რომ 2025-2026 სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით განხორციელდეს პროცესები, სადაც ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება. შეფასებისა და დიაგნოსტიკის ნაწილში მონიტორინგს გაუწევს ამ მიზნებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების შეცდომას და მივიღებენ სრულ სურათს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში ამჟამად შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა მიაჩნიათ, რომ შეფასებას ის წინაპირობა და ფაქტორები უნდა ახლდეს, რომლებიც გავლენას მოახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე. სრულყოფილი

ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც. ამ მიზნების განხორციელებისთვის შექმნილია მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი და განსაზღვრულია მისი საქმიანობის სტრუქტურა. თუმცა აღსანიშნავია, ის, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, რომ სისტემატურად დააკვირდნენ მოსწავლეებს, დაუკავშირდნენ დამრიგებელს, მოსწავლეთა მშობლებს და გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.

რჩევა:
სასურველი, მასწავლებლებმა შექმნან და გამოიყენონ მრავალფეროვან კონტექსტზე დამყარებული შეფასების რუბრიკები, რაც შესაძლებლობას მისცემთ, რომ მოსწავლეთა შეფასების დროს სხვადასხვა საჭირო და სანდო ინფორმაცია გაითვალისწინონ.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები სხვადასხვა დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა ხერხს. როგორებიცაა: დისკუსია, ინტერვიუ, რაც საშუალებას აძლევთ მიიღონ ვალიდური ინფორმაცია მოსწავლეთა საჭიროებების გამოსავლენად.ასევე, ამ მიმართულებით გეგმავენ ახალი მექანიზმების დანერგვას, სადაც შეფასება იქნება მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებული იქნება მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლა აცნობიერებს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების დანახვა, მიღწევების და პრობლემების გაანალიზება და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება. ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ. ამ მიმართულებით ცდილობენ შევქმნან ისეთი მიდგომა, რომელშიც გათვალსიწინებული იქნება დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   სკოლის დოკუმენტაციის გადასინჯვისა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.. ახალი კურიკულუმის

შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმი. მისი დანერგვა დაიწყო მიმდინარე სასწავლო წელს. მასწავლებელთა ინტერვიუებითა და შესწავლილი კურიკულუმებით დგინდება, რომ ამ პროცესის დანერგვისას სკოლას არ ქონდა წინარე გამოცდილება თუმცა ხელმძღვანელობდნენ გარკვეული გამოცდილებით და მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმის სრულ ვერსიას ამ გამოცდილების საფუძველზე შეადგენენ. ამ მიზნებისთვის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი შემუშავებული ინსტრუმენტების საფუძველზე ჩაატარებს მონიტორინგს. ამ ეტაპზე სკოლა გეგმავს, რომ კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა მიღწევები, მასწავლებლის მიერ რეალიზებული პროცესების რეფლექსიები და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025)
- კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
4. სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
6. საკლასო პროექტების გეგმები
7. სადამრიგებლო პროგრამები
8. მოსწავლეთა ნამუშევრები
9. საკლასო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები
10. სკოლის გვერდი
11. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
12. სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
13. მასწავლებელთა პირადი საქმეები
14. სკოლის მართვის ელექტორნული სისტემა
15. სკოლის თვითშეფასების ფორმა
16. ინტერვიუები პედაგოგებთან
17. ვერიფიკაციის წესი

თარიღი; 05.09. 2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის წევრი; სალომე მურღულია

ჯგუფის წევრი; ეკატერინე ვეკუა

ჯგუფის წევრი; ფიქრია მუსერიძე

ჯგუფის წევრი; ელენე გაფრინდაშვილი

ჯგუფის წევრი; მარიკა ბოცვაძე

ჯგუფის წევრი; ნათია გაგნიძე

ჯგუფის წევრი; ილონა აკობია

ჯგუფის წევრი; მანანა შეროზია

ჯგუფის წევრი; მიხეილ გაფრინდაშვილი

ჯგუფის წევრი; ქეთევან მეგრელიშვილი